საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1548 2016 წლის 28 ივლისი ქ. თბილისი

„სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანია ლიმიტედი საქართველოსათვის“ (უცხოური საწარმოს ფილიალი) უძრავი ნივთების უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, „სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანია ლიმიტედი საქართველოს“ (უცხოური საწარმოს ფილიალი, ს/კ: №205011609), უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 7 (შვიდი) წლის ვადით, გადასცეს ამ განკარგულების დანართში მითითებული უძრავი ნივთები.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ნივთების უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით გადაცემის პირობად განისაზღვროს უზუფრუქტის საგნის, მშენებლობის განხორციელების პერიოდში, სადგურ CSG2-სა და მილსადენთან მისასვლელად გამოყენება, სამხრეთ კავკასიის გაზსადენის სისტემის გაფართოების (SCPX) პროექტის ფარგლებში.

3. ამ განკარგულების შესრულების მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი

დანართი

N	მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N	მისამართი	ნაკვეთის დანიშნულება	ნაკვეთის ფართობი (კვ.მ)
1	85.18.24.585	წალკის მუნიციპალიტეტი, სოფელი ავრანლო	სასოფლო-სამეურნეო (სახნავი)	2041
2	85.18.24.587	წალკის მუნიციპალიტეტი, სოფელი ავრანლო	სასოფლო-სამეურნეო (სახნავი)	2002
3	85.18.24.589	წალკის მუნიციპალიტეტი, სოფელი ავრანლო	სასოფლო-სამეურნეო (სახნავი)	707
4	85.18.24.590	წალკის მუნიციპალიტეტი, სოფელი ავრანლო	სასოფლო-სამეურნეო (სახნავი)	7733
5	85.18.24.592	წალკის მუნიციპალიტეტი, სოფელი ავრანლო	სასოფლო-სამეურნეო (სახნავი)	8321
6	85.18.24.594	წალკის მუნიციპალიტეტი, სოფელი ავრანლო	არასასოფლო-სამეურნეო	103